ევროპული ფეხბურთის დღე

24 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის II ტურის პირველი მატჩები. მათში მონაწილეობდა 3 საბჭოთა გუნდი.

“ჰამბურგი” (გფრ) – “დინამო” (თბილისი, სსრკ) 3:1 (1:1).

ჰამბურგი. “ფოლკსპარკის” სტადიონი.

“ჰამბურგი”: კარგუსი, კალტცი, ჰიდინი, ბულიანი, ნოგლი, იაკობსი, კიგანი, ჰარტვიგი, ბრუბეში, მაგატი, რაიმანი.

“დინამო”: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ჟ. კონრატი (საფრანგეთი).

გაფრთხილებული არიან ყიფიანი და ჰარტვიგი.

თამაშის პირველი 15 წუთი ძალზე ძნელი გამოდგა დინამოელთათვის. “ჰამბურგმა” მსაჯის პირველივე სასტვენიდან ხელთ აიღო ინიციატივა და ფართო ფრონტით გაშალა შეტევა. მეტად სახიფათოდ მოქმედებდა კიგანი, მას აქტიურად უჭერდნენ მხარს სხვა თავდამსხმელები, ნახევარმცველები, დროდადრო კი იერიშებში მონაწილეობდნენ განაპირა მცველები კალტცი და ჰიდინი. ეს შეტევები წარმოებდა არა სტიქიურად და მარტოოდენ ენთუზიაზმის ხარჯზე, არამედ მოფიქრებულად, ზუსტი ურთიერთმოქმედებით. თბილისელთა მცველები და მეკარე განუწყვეტლივ საქმიანობაში იმყოფებოდნენ. მათ ხშირად ეხმარებოდნენ წინა ხაზების მოთამაშეებიც.

ჰამბურგელთა ამ თავგამოდებული შტურმის პირობებში სტუმრებისთვის დიდი შემწეობა უნდა გაეწია არა მარტო კოლექტიურ წინააღმდეგობას, არამედ ცალკეულ ფეხბურთელთა მაღალ ოსტატობასაც, საჭირო იყო მეტოქის ტემპის დაგდება, ბურთის გაჩერება მოწინააღმდეგის ნახევარზე. სახიფათო კონტრშეტევები. ამ ამოცანის შესრულებაში თავი გამოიჩინეს მაჩაიძემ, ყიფიანმა, გუცაევმა, რომელთა ინდივიდუალური თამაშის საწინააღმდეგოდ მასპინძლებს საგანგებო მეთვალყურეობის გამოჩენა დასჭირდათ. დაცვის ცენტრში მთელ რიგ მომენტებში საუკეთესოდ ითამაშეს ხინჩაგაშვილმა და ჩივაძემ. გავიდა ეს პირველი 15 წუთი და თამაში თანდათან გათანაბრდა, შემდეგ რამდენიმე სწრაფი გარღვევა შეასრულა გუცაევმა, სახიფათო პოზიციაში გავიდა შენგელია, მინდვრის სიღრმიდან ხშირად იწყებოდა კომბინაციები მაჩაიძის, ყიფიანის, დარასელიას და სხვათა მონაწილეობით. “ჰამბურგმა” ერთ–ერთ მომენტში ვერ მოასწრო დაცვის მობილიზება, ყიფიანმა მიიღო დარასელიას ზუსტი გადაცემა, თავი დაიხსნა ერთბაშად ორი მეტოქის – ნოგლისა და კალტცის მეთვალყურეობისგან, მეკარე კარგუსის პირისპირ აღმოჩნდა და დაბალი ბურთი გაგზავნა მის კარში – 1:0. ეს მოხდა 29–ე წუთზე.

ამ მომენტიდან დაწყებული დინამოელები ერთხანს შემტევი გუნდის როლში იმყოფებოდნენ, ”ჰამბურგის” კართან გათამაშდა რამდენიმე კომბინაცია, მაგრამ 26–ე წუთზე მოხდა კაზუსი, რომელმაც გერმანელებს საშუალება მისცა დასწეოდნენ წინ გასულ მეტოქეს: მარჯვენა მცველმა კალტცმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა,

მუჯირმა რომელიც კარის წინ მარტო იმყოფებოდა, მარცხიანად ითამაშა და საკუთარ ბადეში ჩაჭრა ბურთი – 1:1.

მიუხედავად ამ უიღბლო მომენტისა, პირველი ტაიმი დინამოელთა შესრულებით შეიძლება საუკეთესოდ მივიჩნიოთ.

დაიწყო მეორე ტაიმი და ჰამბურგელებმა უკიდურესად მაღალი, თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. ისინი მოქმედებდნენ სწრაფად, გაბედულად, განსაკუთრებით ეფექტური იყო კალტცის ხშირი რეიდები და სახიფათო დარტყმები. მაღალი ოსტატობა გამოავლინეს კიგანმა, ჰარტვიგმა, მაგატმა. თბილისელთა თამაშის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ ბურთი წინა ხაზზე ნაკლებად ჩერდებოდა და ჰამბურგელებს საშუალება ეძლეოდათ განუწყვეტლივ ეწარმოებინათ იერიშები. 53–ე და 74–ე წუთებზე კიგანმა და ჰარტვიგმა 2 გოლი გაიტანეს სტუმრების კარში.

ამის შემდეგ დინამოელებმა კვლავ გააძლიერეს თამაში. მასპინძელთა კართან შეიქმნა ორი მომენტი, რომლებიც ნაღდად შეიძლებოდა გოლებით დამთავრებულიყო: ჯერ გუცაევი აღმოჩნდა მშვენიერ პოზიციაში, მერე კი შენგელიას დარტყმა მოხვდა ძელს.

ამრიგად, "ჰამბურგისა" და თბილისის "დინამოს" პირველი შეხვედრა მოიგეს ჰამბურგელებმა. ახლა ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს 7 ნოემბერს განმეორებითმა მატჩმა თბილისში. ინგლისის "ლივერპულთან" მოპოვებული გამარჯვებით და თვით "ჰამბურგთან" ნათამაშები მატჩით თბილისელებმა ცხადყვეს თავიანთი საერთაშორისო კლასი და სრული შესაძლებლობა აქვთ წარმატებით გადაჭრან მათს წინაშე მდგარი რთული ამოცანა. ამიტომ იმედით ველით განმეორებით შეხვედრას თბილისში. დარწმუნებული ვართ ჩვენი ფეხბურთელები იტყვიან თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას.

რას წერს პრესა

საკავშირო ცენტრალური პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს თბილისის "დინამოს" განვლილ შეხვედრას გფრ–ის "ჰამბურგერ შპორტფერაინთან" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე.

"პრავდა"

"თბილისის "დინამოს", რომელიც მონაწილეობს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ტურნირში – ჩემპიონთა თასზე, ერთი მეორეზე უფრო ძლიერი მეტოქეები ხვდება. თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ირწმუნეს თავიანთი ძალები "ლივერპულთან" შეხვედრებში და ჰამბურგშიც არ დასჯერდნენ მხოლოდ დამცველი გუნდის როლს.

რით უნდა აიხსნას, რომ შესვენების შემდეგ დინამოელებს ნაკლებად გამოუვიდათ თამაში და ვერაფრით უპასუხეს კ. კოგანისა და დ. ჰარტვიგის გოლებს? მეტოქეებმა მჭიდროდ აიყვანეს თბილისელი ფეხბურთელები, ითამაშეს დასწრებაზე, შებორკეს ჩვენი გუნდის მოქმედება და უძლიერესი ტემპიანი შეტევები განავითარეს. თბილისის "დინამოს" მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ჩვენ ვიცნობთ როგორც ფეხბურთის გამოცდილ ოსტატებს, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ განმეორებით შეხვედრაში საკუთარ მინდორზე ისინი შეეცდებიან გამოძებნონ კონტრზომები "ჰამბურგის" საწინააღმდეგოდ".

“იზვესტია”

“...განსაკუთარებით დასანანია თბილისის “დინამოს” შედეგი ჰამბურგში. სსრ კავშირის ჩემპიონებმა კარგად დაიწყეს თამაში. დ. ყიფიანმა 29–ე წუთზე გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ შემდეგ ჩვენი მცველების უყურადღებო თამაშმა გამოიწვია 3 საპასუხო ბურთი, ამასთან ერთ–ერთი მათგანი დაცვის საკუთარი მოთამაშის მიერ იქნა გატანილი.

გვახსოვს რა დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვება “ლივერპულთან” საკუთრ მინდორზე, ვიმედოვნებთ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ “ჰამბურგი” შეკრული, ენერგიული, ძალისმიერი გუნდია, მის კარში საჭირო რაოდენობის ბურთების გატანა რთული საქმე იქნება”.

“კომსომოლსკაია პრავდა”

“სსრ კავშირის ჩემპიონის თამაშმა, დამარცხების მიუხედავად, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. “შესანიშნავია ტექნიკური ყიფიანი”– წერს ყოველკვირეული გერმანული ჟურნალი “ფუსბალ ვოჰე”. გაზეთი “აბენდ პოსტი” აღნიშნავს: “გამარჯვება უფრო იოლად მოვიპოვეთ, ვიდრე მოველოდით, მაგრამ საბჭოთა გუნდი პირველ ტაიმში თავისი ინდივიდუალური სტილით ძალზე სახიფათოდ გამოიყურებოდა”.

“ტრუდი”

“ეს იყო სანახაობრივად საინტერესო მატჩი, სადაც თბილისელებს შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ”. – ასეთ კომენტარს უკეთებს თბილისის დინამოელთა მატჩს სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ხომიჩი. “ჩემი აზრით, მათ თამაშის მსვლელობაში გარკვეული კორექტივები უნდა შეეტანათ კალტცის მიმართ, რომლის შემტევი შესაძლებლობანი მათ იცოდნენ და ამიტომ მეტი ყურადღება დაეთმოთ მისთვის. ეს არ გაკეთდა და კალტცი ყველაფერს აკეთებდა მინდორზე, რაც კი შეეძლო. “ჰამბურგთან” ბრძოლა შესაძლებელია, ვინაიდან მისი მცველები საშუალებას აძლევენ მეტოქეს მიიღონ ბურთი მკაცრი უშუალო პრესინგის გარეშე. ახლა განმეორებითი თამაშის იმედი გვაქვს. დაკარგული ბევრია, მაგრამ ყველაფერი – არა”.

“სოვეტსკი სპორტი”

გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ო. კუჩერენკოს სარეცენზიო წერილზე მოყვანილია ორი ინტერვიუ, რომლებსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს:

უ. ზეელერი (“ჰამბურგისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი მოთამაშე):

– საბჭოთა გუნდი სწრაფი და ტექნიკურია. შთაბეჭდილება მოახდინა ყიფიანისა და განსაკუთრებით მ მაჩაიძის თამაშმა, რომელიც უნაკლოდ მუშაობს ბურთით და ოსტატურად არეგულირებს მატჩის ტემპს.

ბ. ზებეცი (“ჰამბურგის” უფროსი მწვრთნელი):

– მე ვიცოდი, რომ ყიფიანი და მაჩაიძე ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც შეუძლიათ ითამაშონ საკუთარი სურვილის მიხედვით, მაშინაც კი, როცა მათ პერსონალური მეურვეები ჰყავთ. მაგრამ თუ მათ თავისუფლებას მისცემ – უბედურება

არ აგცდება. სწორედ ასე მოხდა პირველ ტაიმში. შესვენებისას ჩვენ შევიმუშავეთ მათი მეურვეობის უფრო კონკრეტული გეგმა და ვფიქრობთ, შევასრულეთ კიდეც იგი.

"სოვეტსკი სპორტი" ასეთ რეზიუმეს უკეთებს მატჩს: "ლივერტული" და "ჰამბურგი" – ეს ევროპული ფეხბურთის გრანდებია. მათთან დამარცხება სამარცხვინო არაა, გამარჯვება კი ძალზე საპატიოა. თბილისის "დინამოს" მოთამაშეთა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა უნდა იქცეს იმ გზამკვლევ ვარსკვლავად, რომელიც გუნდს დაეხმარება შემდგომ ზღვარზე გასასვლელად".

"ლელო", 27 ოქტომბერი, 1979 წ.